

საქართველოს მთავრობის  
დადგენილება N  
2024 წლის ე.თბილისი

ტექნიკური რეგლამენტი - გამონაკლისი წესები თხევადი ზეთებისა და ცხიმების  
საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით

**მუხლი 1.** სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი - გამონაკლისი წესები თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით“.

**მუხლი 2.** დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი კობახიძე

## ტექნიკური რეგლამენტი - გამონაკლისი წესები თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით

### მუხლი 1. ზოგადი მოთხოვნები

1. „ტექნიკური რეგლამენტი – გამონაკლისი წესები თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით“ (შემდეგში - ტექნიკური რეგლამენტი), ადგენს საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის დადგენილება N173 -ის ტექნიკური რეგლამენტების – „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე მე-15 მუხლით განსაზღვრული „მოთხოვნები სურსათის ტრანსპორტირებისადმი“- დან „გამონაკლისი წესებს თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო გემით ტრანსპორტირებისათვის“.

2. თხევადი ზეთები ან ცხიმები, რომლებიც განკუთვნილია ან შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ადამიანის მიერ („ზეთები ან ცხიმები“) მოხმარებისათვის, შესაძლებელია ტრანსპორტირებილი იქნეს საზღვაო გემებით, რომლებიც არ არიან განკუთვნილი სურსათის ტრანსპორტირებისათვის, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ამ წესების მე-2 და მე-3 მუხლებით განსაზღვრული მოთხოვნები.

### მუხლი 2. გამონაკლისის პირობები

1. ტვირთი, რომელიც ზეთებისა და ცხიმების ტრანსპორტირებამდე გადატანილი იქნა საზღვაო გემის იმავე მოწყობილობებით (შემდგომ - „წინა ტვირთი“), უნდა შედგებოდეს მხოლოდ იმ ნივთიერებებისგან, ან ნივთიერებების ნარევისგან, რომელიც განსაზღვრულია ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართის - „დასაშვები „წინა ტვირთების“ ჩამონათვალი“ შესაბამისად.

2. დასაშვებია ჩამოსასხმელი ზეთებისა ან ცხიმების ტრანსპორტირება, რომლებიც ექვემდებარებიან დამუშავებას, ცისტერნებით, რომლებიც არ არის განკუთვნილი მხოლოდ სურსათის ტრანსპორტირებისათვის, ერთერთი პირობის დაცვით:

ა) თუ ზეთების ან ცხიმების ტრანსპორტირება ხდება უჟანგავი ფოლადის ცისტერნით ან ცისტერნით, რომელიც დაფარულია ეპოქსიდური ფისით ან მისი ტექნიკური ექვივალენტით, უშუალოდ მისი „წინა ტვირთი“ უნდა იყოს ერთერთი:

ა.ა) სასურსათო პროდუქტი;

ა.ბ) ტვირთი, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრული „წინა ტვირთის“ სიიდან;

ბ) თუ ზეთების ან ცხიმების ტრანსპორტირება ხდება ცისტერნით, რომელიც დამზადებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული მასალისგან განსხვავებული მასალით, წინა სამი ტვირთი, რომელიც ამ ცისტერნით იქნა ტრანსპორტირებული, უნდა იყოს ერთერთი:

ბ.ა) სასურსათო პროდუქტი;

ბ.ბ) ტვირთი, ამ ტექნიკური რეგლამენტის დანართით განსაზღვრული „წინა ტვირთის“ სიიდან.

3. დასაშვებია ჩამოსასხმელი ზეთებისა ან ცხიმების ტრანსპორტირება, რომლებიც არ ექვემდებარებიან დამუშავებას, საზღვაო გემის ცისტერნებით, რომლებიც არ არის განკუთვნილი მხოლოდ სურსათის ტრანსპორტირებისათვის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

ა) ცისტერნა უნდა აკმაყოფილებდეს ერთ-ერთ პირობას:

ა.ა) უნდა იყოს უჟანგავი ფოლადისგან დამზადებული;

ა.ბ) დაფარული უნდა იყოს ეპოქსიდური ფისით ან მისი ტექნიკური ექვივალენტით;

ბ) წინა სამი ტვირთი, რომელიც ამ ცისტერნით იქნა გადაზიდული, უნდა იყოს სასურსათო პროდუქტი.

### **მუხლი 3. ჩანაწერების შენახვა**

1. საზღვაო გემის კაპიტანი, რომელიც ახორციელებს ჩამოსასხმელი ზეთებისა და ცხიმების ცისტერნებით ტრანსპორტირებას, ვალდებულია შეინახოს დოკუმენტური მტკიცებულება წინა სამ ტვირთთან დაკავშირებით, რომელიც ტრანსპორტირებული იქნა შესაბამისი ცისტერნებით და ტვირთების ტრანსპორტირებას შორის ჩატარებულ დასუფთავების ეფექტურობასთან დაკავშირებით.

2. თუ ტვირთი იქნა გადატვირთული სხვა საზღვაო გემზე, ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ დოკუმენტებთან ერთად, ტვირთის მიმღები საზღვაო გემის კაპიტანი ვალდებულია შეინახოს ზუსტი დოკუმენტური მტკიცებულება, რომ ჩამოსასხმელი ზეთების ან ცხიმების წინა ტრანსპორტირება შეესაბამებოდა ამ ტექნიკური რეგლამენტის მე-2 მუხლით განსაზღვრულ პირობებს და ამ ტვირთების ტრანსპორტირებებს შორის დასუფთავების პროცესების ეფექტიანობას.

3. საზღვაო გემის კაპიტანი ვალდებულია, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები, მოთხოვნის შემთხვევაში, წარუდგინოს სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოს.

დასაშვები „წინა ტვირთების“ ჩამონათვალი

	ნივთიერება (სინონიმები)	CAS No
1	ამონიუმის ნიტრატის ხსნარი	6484-52-2
2	ამონიუმის პოლიფოსფატი	68333-79-9 და 10124-31-9
3	ამონიუმის ჰიდროქსიდი (ამონიუმის ჰიდრატი, ამიაკის ხსნარი, ნიშადურის სპირტი)	1336-21-6
4	არაფრაქციული ცხიმოვანი ეთერები მცენარეული, საზღვაო და ცხოველური ზეთებიდან და ცხიმებიდან და/ან მათი ნარევიებიდან, იმ პირობით, რომ წყაროს წარმოადგენენ სასურსათო (საკვები) ცხიმები ან ზეთები	-
5	არაფრაქციული ცხიმოვანი მჟავები მცენარეული, ზღვის და ცხოველური ზეთებიდან და ცხიმებიდან და/ან მათი ნარევიებიდან, იმ პირობით, რომ მათ წყაროს წარმოადგენენ სასურსათო (საკვები) ცხიმები ან ზეთები	-
6	არაფრაქციული ცხიმოვანი სპირტები მცენარეული, ზღვის და ცხოველური ზეთებიდან და ცხიმებიდან და/ან მათი ნარევიებიდან, იმ პირობით, რომ მათ წყაროს წარმოადგენენ სასურსათო (საკვები) ცხიმები ან ზეთები	-
7	აცეტონი (დიმეთილკეტონი, 2- პროპანონი)	67-64-1
8	ბენზილის სპირტი (მხოლოდ ფარმაცევტული და რეაგენტების კლასის)	100-51-6
9	N-ბუთილაცეტატი	123-86-4
10	2 - ბუთილაცეტატი	105-46-4
11	გლიკოლები 1,3-ბუთანდიოლი (1,3-ბუთილენგლიკოლი) 1,4-ბუთანდიოლი (1,4-ბუთილენგლიკოლი)	107-88-0 110-63-4
12	გლიცეროლი (გლიცერინი; პროპან-1,2,3-ტრიოლი)	56-81-5
13	გოგირდმჟავა	7664-93-9
14	ეთანოლი (ეთილის სპირტი)	64-17-5
15	ეთილის აცეტატი (ძმრის ეთერი; ძმარმჟავა ეთერი; ეთილის ეთერი)	141-78-6
16	2-ეთილჰექსანოლი (2-ეთილექსილის სპირტი)	104-76-7
17	ეთილ-ტერტ-ბუთილის ეთერი	637-92-3

18	ეპოქსიდირებული სოიოს ზეთი (სულ მცირე 7% - არაუმეტეს 8% ოქსირენის ჟანგბადის შემცველობით)	8013-07-8
19	თეთრი მინერალური ზეთები	8042-47-5
20	იზო-ბუტანოლი (2-მეთილ-1-პროპანოლი)	78-83-1
21	იზობუთილის აცეტატი (2-მეთილპროპილ აცეტატი)	110-19-0
22	იზოდეკანოლი (იზოდეცილის სპირტი)	25339-17-7
23	იზო-ნონანოლი (იზონონილის სპირტი)	27458-94-2
24	იზო-ოქტანოლი (იზოოქტილის სპირტი)	26952-21-6
25	იზო-პროპანოლი (პროპან-2-ოლი; იზოპროპილ სპირტი; IPA)	67-63-0
26	კალიუმის ჰიდროქსიდის (კაუსტიკური პოტაშის) ხსნარი	1310-58-3
27	კალციუმ-ამონიუმის ნიტრატი	15245-12-2
28	კალციუმის ნიტრატი	10124-37-5
29	კალციუმის (II) ნიტრატის დეჰიდრატი	35054-52-5
30	კალციუმის ნიტრატის ტეტრაჰიდრატი	13477-34-4
31	კალციუმის ქლორიდის ხსნარი	10043-52-4
32	კოლინის სუსპენზია	1332-58-7
33	ლიმონენი (დიპენტენი)	138-86-3
34	მაგნიუმის ქლორიდის ხსნარი	7786-30-3
35	მეთანოლი (მეთილის სპირტი)	67-56-1
36	მეთილაცეტატი	79-20-9
37	მეთილეთილკეტონი (2 - ბუტანონი)	78-93-3
38	მეთილიზობუთილ კეტონი (4-მეთილ-2-პენტანონი)	108-10-1
39	მეთილ-ტერტ-ბუთილის ეთერი (MBTE)	1634-04-4
40	მელასა, რომელიც იწარმოება ტრადიციული შაქრის გადამამუშავებელ მრეწველობაში, შაქრის ლერწმის, შაქრის ჭარხლის, ციტრუსების ან სორგოს გამოყენებით	-
41	მჟავე ზეთები და ცხიმოვანი მჟავების დისტილატები - მცენარეული ზეთების და ცხიმებისაგან და/ან მათი მინარევებისაგან, ასევე ცხოველური და ზღვის ცხიმები და ზეთები	-
42	ნატრიუმის სილიკატის (წყლის მინის) ხსნარი	1344-09-8
43	ნატრიუმის ჰიდროქსიდის ხსნარი (კაუსტიკური სოდა, ტუტე)	1310-73-2
44	პარაფინის ცვილი (სურსათის კლასის)	8002-74-2 და 63231-60-7

45	პენტანი	109-66-0
46	პოლიპროპილენგლიკოლი (მოლეკულური წონა 400-ზე მეტი)	25322-69-4
47	1,3-პროპანდიოლი (1,3-პროპილენგლიკოლი; ტრიმეთილენ გლიკოლი)	504-63-2
48	N-პროპილაცეტატი	109-60-4
49	პროპილენგლიკოლი (1,2 პროპილენგლიკოლი; პროპან-1,2-დიოლი; 1,2-დიჰიდროქსიპროპანი; მონოპროპილენგლიკოლი (mpg); მეთილგლიკოლი)	57-55-6
50	პროპილენის ტეტრამერი	6842-15-5
51	პროპილის სპირტი (პროპან-1-ოლი; 1-პროპანოლი)	71-23-8
52	სასმელი წყალი	7732-18-5
53	სორბიტოლის ხსნარი (d-სორბიტოლი; ექვსატომიანი სპირტი; d-სორბიტი)	50-70-4
54	ტერტბუთილაცეტატი (t- ბუთილაცეტატი)	540-88-5
55	ფოსფორმჟავა (ორთოფოსფორმჟავა)	7664-38-2
56	ფრუქტოზა	57-48-7 და 30237-26-4
57	შარდოვანა ამონიუმის ნიტრატის ხსნარი (UAN)	
58	ციკლოჰექსანი (ჰექსამეთილენი; ჰექსანაფთენი; ჰექსაჰიდრობენზოლი)	110-82-7
59	<b>ცხიმოვანი მჟავები:</b>	
	არაჩინის მჟავა	506-30-9
	ბეჰენის მჟავა	112-85-6
	ერბომჟავა (n-ბუთირის მჟავა; ბუთანონის მჟავა; ეთილის ძმარმჟავა; პროპილჰიანჰველმჟავა)	107-92-6
	კაპრინის მჟავა (n-დეკანონის მჟავა)	334-48-5
	კაპრონის მჟავა (n-ჰექსანონის მჟავა)	142-62-1
	კაპრილის მჟავა (n-ოქტანური მჟავა)	124-07-2
	ერუკის მჟავა (ცის-13-დოკოსენონის მჟავა)	112-86-7
	ჰეპტანის მჟავა (n-ჰეპტანური მჟავა)	111-14-8
	ლაურინის მჟავა (n-დოდეკანონის მჟავა)	143-07-7
	ლაურელის მჟავა (დედეკანონის მჟავა)	4998-71-4
	ლინოლუის მჟავა (9,12-ოქტადეკადინის მჟავა)	60-33-3
	ლინოლეინის მჟავა (9,12,15 - ოქტადეკატრიენის მჟავა)	463-40-1
	მირისტინის მჟავა (n-ტეტრადეკანონის მჟავა)	544-63-8
მირისტოლეინის მჟავა (n-ტეტრადეკანონის მჟავა)	544-64-9	
ოლეინის მჟავა (n-ოქტადეცენური მჟავა)	112-80-1	

	პალმიტინის მჟავა (n-ჰექსადეკანონის მჟავა)	57-10-3
	პალმიტოლენის მჟავა (ცის-9- ჰექსადეცენური მჟავა)	373 - 49 - 9
	პელარგონის მჟავა (n-ნონანონის მჟავა)	112 - 05 - 0
	რიცინოლის მჟავა (ცის-12-ჰიდროქსი ოქტადეკ-9-ენონის მჟავა; აზუსალათინის ზეთის მჟავა)	141-20
	სტეარინის მჟავა (n-ოქტადეკანონის მჟავა)	57-11 - 4
	ვალერიინის მჟავა (n-პენტანოის მჟავა; ვალერიანის მჟავა)	109-52-4
60	<b>ცხიმოვანი მჟავების ეთერები - ნებისმიერი ეთერი, რომელიც წარმოიქმნება ჩამოთვლილი ცხიმოვანი მჟავებისა და ცხიმოვანი სპირტების, ასევე მეთანოლისა და ეთანოლისგან. მაგ:</b>	
	ბუთილმირისტატი	110-36-1
	ცეტილსტეარატი	110-63-2
	ოლეილპალმიტატი	2906-55-0
	მეთილლაურატი (მეთილდოდეკანოატი)	111-82-0
	მეთილოლეატი (მეთილოქტადეკანოატი)	112-62-9
	მეთილპალმიტატი (მეთილჰექსადეკანოატი)	112-39-0
	მეთილსტეარატი (მეთილოქტადეკანოატი)	112-61-8
61	<b>ცხიმოვანი სპირტები</b>	
	ბუთილის სპირტი (1-ბუთანოლი)	71-36-3
	კაპროილის სპირტი (1- ჰექსანოლი, ჰექსილის სპირტი)	111-27-3
	კაპრილის სპირტი (1-n-ოქტანოლი; ჰეპტილკარბინოლი)	111-87-5
	ცეტილის სპირტი (სპირტი C-16; 1-ჰექსადეკანოლი; ცეტილიკის სპირტი; პალმიტილის სპირტი; n-პირველადი ჰექსადეცილის სპირტი	36653-82-4
	დეცილის სპირტი (1 - დეკანოლი)	112-30-1
	ჰეპტილის სპირტი ((1-ჰეპტანოლი)	111-70-6
	ლაურილის სპირტი (n - დოდეკანოლი; დოდეცილის სპირტი)	112-53-8
	მირისტილის სპირტი (1 - ტეტრადეკანოლი; ტეტრადეკანოლი)	112-72-1

	ნონილის სპირტი (1 - ნონანოლი; პელარგონის სპირტი; ოქტილკარბინოლი)	143-08-8
	ოლეილის სპირტი (ოქტადეკანოლი)	143-28-2
	სტეარილის სპირტი (1 - ოქტადეკანოლი)	112-92-5
	ტრიდეცილის სპირტი (1 - ტრიდეკანოლი)	112-70-9
62	<b>ცხიმოვანი სპირტიანი ნარევები</b>	
	ლაურილმირისტილის სპირტი (C12 — C14 - ის ნარევი)	
	ცეტილსტეარილის სპირტი (C16 — C18 - ის ნარევი)	
63	ცხოველური, ზღვის, მცენარეული და ჰიდროგენიზებული ზეთები და ცხიმები MEPC (Marine Environment Protection Committee). 2/ცირკ. შესაბამისად IMO (International maritime organization)-დან	-
64	ძმარმჟავა (ეთანომჟავა; ღვინის ძმარის მჟავა; მეთანკარბოქსილის მჟავა)	64-19-7
65	ძმრის ანჰიდრიდი (ძმარმჟავას ანჰიდრიდი)	108-24-7
66	წყალბადის ზეჟანგი	7722-84-1
67	ჰიანჰველამჟავა (მეთანომჟავა, წყალბადის კარბოქსილის მჟავა)	64-18-6
68	ჰეპტანი (კომერციული კლასის)	142-82-5
69	ჰექსანი (ტექნიკური კლასები)	110-54-3 და 64742-49-0



## განმარტებითი ბარათი

### „ტექნიკური რეგლამენტი - გამონაკლისი წესები თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტზე

პროექტი შემუშავებულია სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 56-ე მუხლის პირველი ნაწილის, 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, და **ქართულად** COMMISSION REGULATION (EU) No 579/2014 of 28 May 2014 granting derogation from certain provisions of Annex II to Regulation (EC) No 852/2004 of the European Parliament and of the Council as regards the transport of liquid oils and fats by sea (2014 წლის 28 მაისის კომისიის რეგულაცია (EU) No579/2014, რომელიც ადგენს გამონაკლისებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No852/2004 რეგულაციის (EC) No852/2004 დანართის II გარკვეული დებულებებიდან თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.

პროექტი ადგენს „სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესისა“ და „სურსათის ჰიგიენის გამარტივებული წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის აN173 დადგენილებით დამტკიცებული „ტექნიკური რეგლამენტი - სურსათის ჰიგიენის ზოგადი წესის“ მე-15 მუხლით განსაზღვრული“ მოთხოვნები სურსათის ტრანსპორტირებისადმი“- დან „ გამონაკლისი წესებს თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო გემით ტრანსპორტირებისათვის“. კერძოდ, თხევადი ზეთები ან ცხიმები, რომლებიც განკუთვნილია ან შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ადამიანის მიერ („ზეთები ან ცხიმები“) მოხმარებისათვის, შესაძლებელია ტრანსპორტირებული იქნეს საზღვაო გემებით, რომლებიც არ არიან განკუთვნილი სურსათის ტრანსპორტირებისათვის, იმ პირობით, თუ დაცული იქნება ამ წესით განსაზღვრული მოთხოვნები.

ასევე, პროექტი განსაზღვრავს ჩამოსასხმელი ზეთებისა ან ცხიმების, რომლებიც ექვემდებარებიან დამუშავებას, ტრანსპორტირების დაშვებას ცისტერნებით, რომლებიც არ არის განკუთვნილი მხოლოდ სურსათის ტრანსპორტირებისათვის და ადგენს შესაბამის პირობებს. ასევე დადგენილია გემის კაპიტნის მიერ სათანადო ჩანაწერების შენახვის ვალდებულება.

შესაბამისად, პროექტის დანართით განსაზღვრულია დასაშვები „წინა ტვირთების“ ჩამონათვალი და მათი შესაბამისი CAS (Chemical Abstracts Service) ნომერი.

## **ინფორმაცია ევროკავშირის სამართლებრივი აქტის შესახებ**

პროექტი მომზადებულია „ევროკავშირის იმ სამართლებრივი აქტის შესაბამისად, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან.

კერძოდ, **აქ ქართულადაც მინდა COMMISSION REGULATION (EU) No 579/2014 of 28 May 2014 granting derogation from certain provisions of Annex II to Regulation (EC) No 852/2004 of the European Parliament and of the Council as regards the transport of liquid oils and fats by sea (2014 წლის 28 მაისის კომისიის რეგულაციის (EU) No579/2014, რომელიც ადგენს გამონაკლისებს ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) No852/2004 რეგულაციის (EC) No852/2004 დანართის II გარკვეული დებულებებიდან თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით) და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნათა შესაბამისად.**

### **გენდერული თანასწორობის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება**

პროექტი არ ახდენს გენდერული თანასწორობაზე გავლენას.

### **ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე სამართლებრივი აქტის ზეგავლენის შეფასება**

პროექტი ზეგავლენას არ იქონიებს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

### **პროექტის მიღებით გამოწვეული საფინანსო-ეკონომიკური შედეგების გაანგარიშება**

პროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილებზე, არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

### **პროექტის მოსალოდნელი შედეგები**

პროექტის მიღება ხელს შეუწყობს მომხმარებელთა ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას და სამართლიანი ვაჭრობის პრინციპების დამკვიდრების ხელშეწყობას.

### **პროექტის განხორციელების ვადები**

პროექტი, ამოქმედდება 2026 წლის პირველი იანვრიდან,

ამასთან, ზემოაღნიშნული XI-B დანართის მიზნებისთვის, მითითებული ვადები უკავშირდება კანონმდებლობის დამტკიცებას (დაახლოვება), ხოლო მისი ამოქმედების (იმპლემენტაციის) საკითხი დამოკიდებულია ქვეყნის და კერძო სექტორის მზად ყოფნაზე. თავად შეთანხმების XI-A დანართი ახდენს აღნიშნული ტერმინების

(დაახლოვება/იმპლემენტაცია) გამოიჯენას ერთმანეთისგან. კერძოდ, აღნიშნული დანართის მიხედვით, ქართულმა მხარემ უნდა უზრუნველყოს დაახლოებული ეროვნული კანონმდებლობის ეფექტიანი იმპლემენტაცია. თუ ჩვენ ჩავთვლით, რომ დაახლოვება გულისხმობს კანონმდებლობის იმპლემენტაციასაც და ის ვადები, რომლებიც მოცემულია XI-B დანართში უკავშირდება კანონმდებლობის იმპლემენტაციას, გაურკვეველია ამავე შეთანხმების ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის სამართლებრივი დატვირთვა (დაახლოვებული კანონმდებლობის იმპლემენტაცია).

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი სანიტარიული და ფიტოსანიტარიული SPS ქვეკომიტეტის შეხვედრებზე, რომლის ფარგლებშიც საქართველო ახდენს ევროკომისიისთვის ანგარიშის წარდგენას კანონმდებლობის დაახლოებასთან დაკავშირებით, ყოველთვის ვაწვდით ინფორმაციას იმის თაობაზე თუ როდის მოხდება დაახლოვებული კანონმდებლობის ამოქმედება. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკომისია ადასტურებდა საქართველოს მიერ ვალდებულებების შესრულებას. გარდა ამისა, კანონმდებლობის დაახლოვება SPS სფეროში იყო ერთ-ერთი საფუძველი საბიუჯეტო დახმარებისთვის, დღემდე ამ კომპონენტის შეუსრულებლობის გამო რაიმე შეფერხება არ ყოფილა.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ თავად ევროკავშირის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტების დამტკიცების შემდეგ ხდება გარდამავალი პერიოდის დაწესება, რათა კერძო სექტორმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა მოასწრონ მომზადება ახალი მოთხოვნების შესრულებისთვის.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 30 დეკემბრის N2-954 ბრძანებით შეიქმნა კომისია, რომელიც მოახდენს ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების და მისი „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ მე-4 თავის - „სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები“-ს XI-B დანართის ფარგლებში აღებული ვალდებულების შესრულების მიზნით, კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებულ გამოწვევების იდენტიფიცირებას და დაგეგმავს მათი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭირო ღონისძიებებს. ამასთან, ევროკავშირის წარმომადგენლობას საქართველოში მივმართეთ თხოვნით, მხარი დაგვიჭიროს ზემოაღნიშნული საკითხის უზრუნველყოფაში.

ყოველივე აღნიშნული საშუალებას მოგვცემს, უკეთ განვსაზღვროთ დაახლოვებული კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებული მითითებული ვადები და საჭიროების შემთხვევაში, მათი მოვამზადოთ გადავადებების შესახებ შესაბამისი წინადადებები.

**პროექტის ავტორი და წარმდგენი**

პროექტის ავტორი და წარმდგენია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის  
სამინისტრო.